# მაო ძედუნისა და სტალინის მუზეუმებს შორის მემორანდუმი გაფორმდა

22 სექტემბერი 2017

გორში, სტალინის სახელმწიფო მუზეუმსა და ჩინეთის მაო ძედუნის მემორიალურ მუზეუმებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც სამეცნიერო და საგანმანათლებლო მიმართულებით მუზეუმების თანამშრომლობას ითვალისწინებს. ღონისძიებას ესწრებოდა შიდა ქართლის რწმუნებული-გუბერნატორი კახა სამხარაძე და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კოტე თავზარაშვილი. მაო ძედუნის მუზეუმის დირექტორმა ქსიამ ინგიმ  ხაზი გაუსვა  მემორანდუმის მნიშვნელობას და მასპინძლებს მადლობა გადაუხადა გულთბილი დახვედრისთვის.